ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №4314532

ნომერი: AR1650437

თარიღი : 15.12.2018

გაცემის თარიღი : 21.12.2018

გაცნობის თარიღი : 23.12.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ვეფხისტყაოსანის ქუჩა, N 28;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლეილა ზოიძე პ/ნ 61006008155
- ბათუმი დ.აღმაშენებლის ქ. N 32 ბ. 7

ორგანიზაცია:

- შპს ახალი სახლი კოდი: 400155069

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- IV კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : №2856939 №3016163 12/12/2017
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 26.09.2016

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების

წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

# გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის ბრძანებაში მითითებულია, რომ დასასრულებელია ტერიტორიის კეთილმოწყობა, ნაწილობრივ +0.00 ნიშნულს ქვევით ფასადები შესაღებია, აივნის ძირების ნაწილი მოსაპირკეთებელია, -3.30 ნიშნულზე ფასადებზე ღიობებში გაუქმებულია ცხაურები და მათ ნაცვლად ფიქსირდება ლითონის ნაშვერები, ნაწილობრივ დასასრულებელია სადარბაზოების კეთილმოწყობა, 3.30 ნიშნულზე ,,1-2" მონაკვეთში ღიობი შეფიცრულია, ,,დ-ე" მონკვეთში აივნების ნაწილის ირგვლივ ფასადები შესაღებია, ამავე მონაკვეთში +36.30 ნიშნულზე ფასადი შესალესი და შესაღებია, -3.30 ნიშნულზე სართულიდან გასატანია სამშენებლო ნარჩენები, ,,ა" და ,,2" ღერძების კვეთასთან გაუქმებულია შშმპ პირთათვის განკუთვნილი ლიფტი. აღნიშნული სამუშაოები უნდა იქნას დასრულებული და დადასტურებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ.

2. წარმოსადგენია კონსტრუქციული საექსპერტო დასკვნა დარღვევით ნაწარმოებ მშენებლობაზე (მათ შორის უნდა იქნას განხილული მდგრადობის საკითხი) და შემსრულებელი ექსპერტის მონაცემები.

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის ბრძანებაში მითითებულია, რომ +0.00 ნიშნულზე შეცვლილია პანდუსის ფორმა და გაზრდილია დახრის პროცენტული მაჩვენებელი, ,,1-4" ფასადზე ,,2-4" მონაკვეთში შეცვლილია გრუნტის ზედაპირის ნიშნული, +0.00 ნიშნულზე ,,დ" ღერძზე ,,3-4" მონაკვეთში კედლის ნაწილს მონაცვლებული აქვს ადგილი ,,ე" ღერძისკენ- აღნიშნულთან დაკავშირებით წარმოსადგენია +0.00 ნიშნულის სართულის ანაზომი, პანდუსის დახრის პროცენტული მაჩვენებლის მითითებით და გამწვანების ფართობების დატანით და ზომების მითითებით.

4. ,,ა" და ,,2" ღერძების კვეთსთან გაუქმებულია შშმპ პირთათვის განკუთვნილი ლიფტი- აღნიშნულთან დაკავშირებით საჭიროა განმართოთ თუ როგორ არის უზრუნველყოფილი შშმპ მისაწვდომობა და წარმოადგინოთ შესაბამისი ანაზომი დამოწმებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ.

5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის ბრძანებაში მითითებულია, რომ +36.30 ნიშნულზე გაზრდილია სართულის სიმაღლე, კერძოდ 2.38 მეტრის ნაცვლად შეადგენს 2.80 მეტრს- აღნიშნულთან დაკავშირებით წარმოსადგენია განაშენიანების ინტენსივობის კ-2 საანგარიშო ფართობის კროკები.

6. ფოტოებზე ფიქსირდება კონდენციონერის ადგილმდებარეობის ცვლილება. აღნიშნულთან დაკავშირებით საჭიროა კონდენციონერი განათავსოთ მხოლოდ მისთვის განკუთვნილ ადგილზე.

გაითვალისწინეთ, იმ შემთხვევაში თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება და მოთხოვნილი დოკუმენტაციის სრულყოფილი სახით წარმოდგენა, აღნიშნული განაცხადი დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.